

საქართველოს კანონი

საქართველოს საზღვაო კოდექსში

ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საზღვაო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №25-26, 14 ივნისი, 1997, გვ. 10) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 34-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკლასიფიკაციო საზოგადოების ზედამხედველობისადმი დაუქვემდებარებელი მცურავი ობიექტის სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის განმხორციელებელი ორგანო, აგრეთვე აღნიშნული მცურავი ობიექტის კონტროლის წესი განისაზღვრება „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით.“

2. 79¹ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 79¹

საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და სანაპირო ზოლში შემოსული გემების შუქურით მომსახურების ტარიფის ოდენობას ერთობლივად განსაზღვრავენ საქართველოს თაედაცვის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროები.“

3. 116-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ტვირთის მიღება, შემოტანა ან გატანა შეიძლება აკრძალოს ადმინისტრაციამ მხოლოდ ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში. იგი ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს და სხვა დაინტერესებულ პირებს“.

მუხლი 2. გარდამავალი დებულებანი

1. საქართველოს თავდაცვისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებიმა ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესრულების მიზნით 2010 წლის 1 დეკემბრამდე ერთობლივად უზრუნველყონ საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და სანაპირო ზოლში შემოსული გემების შუქურით მომსახურების ტარიფის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცება.
2. „საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და სანაპირო ზოლში შემოსული გემების შუქურით მომსახურების ტარიფების ოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მიერ ერთობლივად გამოცემული 2010 წლის 18 თებერვლის №88-№3/6 ბრძანება ინარჩუნებს იურიდიულ ძალას ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებამდე.

მუხლი 3. დასკვნითი დებულებანი

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი